მაღლა გვეჭიროს საბჭოთა სპორტის დროშა!

•

დღეს თბილისში გაიმართება რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც განიხილავს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1977 წ.
№ 128
(5937)
2 ივლისი,
შაბათი.
ფასი 6 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

წარმატებები უნდა ვამრავლოთ

დიდმნიშვნელოვანი მოვლენებითაა აღსავსე მეათე ხუთწლედის ეს მეორე წელი. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გაცხოველებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახვედრად. სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ, ამ უდიდესმა, ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო დოკუმენტმა კიდევ უფრო მეტი ენერგია შემატა საქართველოს მშრომელებს ოქტომბრის საიუბილეოდ გაჩაღებულ სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაში.

ერთი წლის წინათ გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სრულყოფილად ასახავს რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარ არსებით პოლიტიკურ ძვრებს. იგი ადასტურებს, იწონებს და ამკვიდრებს იმ პოზიტიურ მოვლენებს, რომლებიც რესპუბლიკაში მიმდინარეობს თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

ბოლო წლებში რესპუბლიკაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ძვრებმა კეთილი გავლენა მოახდინა საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციის საქმიანობაზე. ორგანიზაციულად განმტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივები, დიდი ყურადღება ექცევა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას, სპორტის მასობრიობას, მთელ რიგ სპორტულ სახეობებში საწვრთნელი მუშაობის ახლებურად წარმართვას.

ამჟამად რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების, სპორტსმენების წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანები — წარმატებით გამოსვლა საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში. სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ სპორტულ სახეობებში მუშაობის გაუმჯობესებას, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში და სხვ. მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ მოვიპოვებთ, თუ ძირეული გარდატეხა არ მოხდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მსმენელთა შემდგომ ფიზიკურ წრთობაში, თუ უფრო სერიოზული მუშაობა არ მოუთხოვეთ სოფლის რაიონების ფიზკულტურელთა თავკაცებს, იქ, სადაც ქალაქების, რაიონების, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა ხელმძღვანელები გულისყურს იჩენენ ფიზკულტურელთა მიმართ, შენდება ახალი სპორტული ბაზები, ახალგაზრდები ხალისით ეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას, რაც დადებითად მოქმედებს შრომისნაყოფიერების ამაღლებაზე. ნახეთ, რა ენთუზიაზმი და სპორტისადმი სიყვარული იგრძნობა სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანებაში, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, გალის რაიონის ოქუმის კოლმეურნეობაში, სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში და სხვაგან. აქ მშრომელთა, მოსწავლეთა ფიზიკური გაკაჟება საერთო საქმედაა მიჩნეული და შედეგებიც მრავლისმთქმელია.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტის 41-ე პუნქტში მოცემულია მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარების ახალი პერსპექტივები. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ამ მუხლით მონიჭებული უფლებები, ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ჩავაბათ მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მშდ კომპლექსის მასობრივად ჩაბარების, ტურისტულ ლაშქრობათა მოწყობის საქმეს.

საქართველოს სპორტსმენებს ბევრჯერ უსახელებიათ თავისი რესპუბლიკა საერთაშორისო თუ საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებში. ეს გამარჯვებები უნდა ვამრავლოთ, უნდა ვიბრძოლოთ, რათა საქართველოს წარმომადგენლებმა რაც შეიძლება მეტი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭონ მომავალ დიდ და საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში, სსრ კავშირის ხალხთა VII და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების სპორტულ ბატალიებში.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის მზადებითა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვით გამოწვეული მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში გაიხსნა 1 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები ნ. ვ. ბურბენიძე, ზ. ო. ვასაძე, ი. ნ. ბარბა, თ. შ. ქაბულოვა.

მთავრობის ლოჟებში სხედან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

დეპუტატებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი მეხუთე და მეექვსე სესიებს შორის პერიოდში გარდაცვლილი დეპუტატის გ. ნ. ბარძიმოვის ხსოვნას.

დაამტკიცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ვ. შ. კურცხალიას მოხსენება ზოგიერთ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

დამტკიცდა სესიის მუშაობის დღის წესრიგი. სესიის დღის წესრიგში შეიტანეს შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებასთან და ამ პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.
2. საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შექმნის შესახებ.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ე. ა. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

საიუბილეო წლის ნობათები

საიუბილეო წლის პირველი ნახევარი საქართველოს ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა მაღალი მაჩვენებლებით, პირდაპირ უნდა ვთქვათ, საამაყოდ დაამთავრეს. ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტსაზოგადოებების საქმიანობაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, გაიზარდა სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და ტექნიკური მხარე და, როგორც ამის ლოგიკური შედეგი, იმრავლა წარმატებებმა სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში.

დღეს, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში განსაკუთრებულ დღეს, მაშინ, როდესაც პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება იმსჯელებს ჩვენი მომავალი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის დიდმნიშვნელოვან, კარდინალურ საკითხებზე, ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ წლის პირველ ნახევარში ჩვენი სასახელო სპორტსმენების მიერ მსოფლიო, ევროპის, საბჭოთა კავშირისა თუ საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული წარმატებანი.

პირველად მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში პრეტენდენტთა ტურნირის ნახევარფინალში გავიდა 16 წლის მ. ჩიბურდანიძე.

წლეულს პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი ქართველი მოკრივე [illegible]ავაძე. მანვე მეორედ დაიმსა[illegible] სსრ კავშირის ჩემპიონის ოქ[illegible] მედალი.

ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე ჯ. ნიჟარაძემ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა, ხოლო შ. ჩოჩიშვილმა აბსოლუტურ შეჯიბრებაში — მესამე ადგილი. სსრ კავშირის გუნდი, რომელშიც ქართველი მოჭიდავეები შედიოდნენ, კონტინენტის ჩემპიონი გახდა.

მრგვალ სტენდზე ევროპის პირველობაში სსრ კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყო თ. იმნაიშვილიც, ჩემპიონობა მოიპოვა.

სსრ კავშირის გოგონათა ჩემპიონატში მოჭადრაკე ქ. მელაშვილმა II საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა პირველობაში ჩემპიონი გახდა ზ. ყუბუსიძე, ხოლო მ. კუხიანიძემ III საპრიზო ადგილი მოიპოვა. ამავე სახეობაში ახალგაზრდათა საკავშირო პირველობაში ლ. შავიძე და რ. კანთელაძე ჩემპიონები გახდნენ, ხოლო ვ. სეფერთელაძემ და ა. გიჭაშვილმა მეორე ადგილები დაიკავეს, ლ. მეხეშიძემ და დ. კორძაძემ — მესამე. მოზრდილთა შორის საკავშირო ჩემპიონატში ყველას აჯობეს რ. აბრამიშვილმა, ი. ბერიშვილმა, ე. გოგლიჩიძემ, ხოლო მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მ. სალაძე და შ. მორჩილაძე.

თავისუფალი სტილით, მოჭიდავეთა ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის გაიმარჯვეს გ. მაკასარაშვილმა და გ. მერმანიშვილმა. ყრუ-მუნჯთა საკავშირო პირველობაზე მეორე ადგილი მოიხვეჭა თ. არჩუაძემ.

იუნიორ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე გაიმარჯვეს თ. კარიაულმა, ზ. გოგიჩაშვილმა და თ. დონღუზაშვილმა (აბსოლუტური), მეორე ადგილი მოიხვეჭა შ. ხაბარელმა, ხოლო მესამე — ნ. მუზაშვილმა და თ. დონღუზაშვილმა.

სამბოში საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიპოვეს ი. მალალაშვილმა, ა. ოქროპირიძემ და დ. ბოდაველმა. ახალგაზრდათა ჩემპიონატში პირველ ადგილზე გავიდა ი. როსტიაშვილი.

მოკრივეთა საკავშირო პირველობაზე ა. ხიზანიშვილმა ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

მეორე ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში კალათბურთელთა შეჯიბრებაში საქართველოს ვაჟთა გუნდმა ჩემპიონობა მოიპოვა; საკავშირო პირველობაში თბილისის „დინამოს“ გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი მოიხვეჭა.

ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „ბურევესტნიკმა“ მესამე ადგილი დაისაკუთრა.

სასტენდო სროლაში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა თ. მატოიანმა.

საერთაშორისო ტურნირებში დიდი მიღწევები ჰქონდათ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს. ლონგ-პაინის მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა I-IV ადგილები გაიყო, ხოლო ნ. ალექსანდრიამ ვეიკ-ანზეეს ქალთა საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი მოიხვეჭა.

კოტბუსში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში ლ. ცისკარიშვილმა პირველი ადგილი მოიპოვა.

სოფიაში გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში მ. სალაძემ პირველი ადგილი მოიხვეჭა, ხოლო ვ. ბლაგიძემ — მეორე.

მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები მონაწილეობდნენ, რაპირისტ ვაჟთა შორის გაიმარჯვა გ. აბაშიძემ.



ზ. იაშვილის ნახატი

„სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება; ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა 41-საათიანი სამუშაო კვირა და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებისთვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა; ყოველწლიური ფასიანი შვებულების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილებზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა".

თავისუფალი დრო — ჯანმრთელობის სამსახურს!

რა აფერხებს მშრომელთა ქალაქგარეთ დასვენების ზონებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ქსელის შექმნას?

● როგორაა საქმე „ჯანმრთელობის საამქროში"? ● გამოუყენებელი ტბები და წყალსაცავები... ● მეტი ყურადღება ფიზკულტურისა და სპორტის სოციალურ მნიშვნელობას ● დეპუტატთა საზრუნავი

თანამედროვეობის პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თავისუფალი დროის უხარიახად გამოყენება. სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ამ ბიუჯეტის გარკვეულ ნაწილს ადამიანები ფიზკულტურასა და სპორტს უთმობენ. მას შემდეგ, რაც შემცირდა სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, დასვენების ორი დღის პირობებში, კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტ-მასობრივი მუშაობისადმი.

დღეს ყველას კარგად ესმის ფიზკულტურისა და სპორტის ადგილი და მნიშვნელობა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში. ცნობილია ისიც, რომ შრომისნაყოფიერების ამაღლება და გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ადამიანების გუნება-განწყობაზე და შრომის ხალისზედაც არის დამოკიდებული.

მაშასადამე, შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, შრომითი კოლექტივის „ჯანმრთელობის საამქრო", რომელიც სულ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ხალხს იზიდავს. „ჯანმრთელობის საამქრო" არანაკლებ რთული, მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, კომპლექსური უბანია, ვიდრე წარმოების ნებისმიერი ობიექტი. ამ კომპლექსში თვალსაჩინო ადგილი უკავია მშრომელთა ქალაქგარე დასვენების ზონებს და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებს, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

დასვენების ზონებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების დანიშნულება უფრო ღრმა შინაარსის მომცველია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მოვუსმინოთ, რას ამბობს „სამტრესტის" თბილისის საწარმოო კომბინატის სიმჟავის საამქროს მოწინავე მუშა, რაიონული საბჭოს დეპუტატი ი. კაციტაძე: „ადამიანის უნარსა და შესაძლებლობებზე არაფერი ისე კეთილისმყოფელ გავლენას არ ახდენს, როგორც დასვენების დღეების ბუნების წიაღში გატარება. ამის შემდეგ კვირიდან კვირამდე სამუშაოს, რაგინდ რთულიც უნდა იყოს, უეჭველად იოლად დაძლევ".

დასვენების ორგანიზაცია მეტად სერიოზული საქმეა. მით უმეტეს, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ჯანმრთელობის განმტკიცებასთან. ხოლო, რაკი ჯანმრთელობა ქვეყნის ყველაზე ძვირფასი სიმდიდრეა, დიადაც ვალდებულნი ვართ დღენიადაგ ვიზრუნოთ მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

საბჭოთა კავშირში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები ჯერ კიდევ ამ 20-21 წლის წინათ შეიქმნა. უფრო ადრე კი ქალაქგარე დასვენების ზონებმა მოიპოვეს „მოქალაქეობა". ჯანმრთელობის ამ კერებმა, ცხადია, გაამართლა. ბევრგან გამოუჩნდნენ მიმდევრები თაოსნებს. ჩვენ კი ამ სიახლისგან (ახლა უკვე მას სიახლე აღარ ეთქმის), მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი ბუნებრივი პირობები გვაქვს, იმთავითვე რატომღაც შორს დავიჭირეთ თავი. მოძმე რესპუბლიკებში ტბებთან, მდინარეებთან, ტყის პირთან დიდი ენთუზიაზმით მრავლდებოდა და მრავლდება ასეთი ზონები და ბანაკები. დღეს, დასვენების ქალაქგარე ზონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მარტო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების რიცხვმა 20 ათასს გადააჭარბა. მილიონობით მშრომელი ისვენებს და იკაჟებს სხეულს ამ ბანაკებში. ჩვენთან კი ისევ და ისევ მყუდროებაა. რომ იტყვიან თითებზე შეიძლება ჩამოვთვალოთ ისეთი კოლექტივებიც, რომლებსაც ქალაქგარე დასვენებისა და ჯანმრთელობის ზონები აქვთ გაშენებული. დავასახელოთ, მაგალითად, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები.

დასვენების ქალაქგარე ზონებს მშრომელთა კოლექტივების პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტები ხელმძღვანელობენ. მათი უფლებამოსილება „მშრომელთა დასასვენებელი ზონების შესახებ" საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 24 ივნისის დადგენილებით არის დაკანონებული. ამავე დადგენილებით მიღებულია სანიმუშო დებულებაც. როგორც ხედავთ, საქმის დაწინაურებას წინ არაფერი უდგას, მაგრამ ჯანმრთელობისთვის მასობრივი ლაშქრობის სტარტი რატომღაც ძალზე გაჭიანურდა. **არადა, საქართველოს პროფსაბჭოსთან უკვე შეიქმნა მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის მეთოდური კაბინეტი, რომელიც მზადაა კვალიფიციური რჩევა-დარიგება და რეკომენდაციები მისცეს კოლექტივებს. იქნებ ის ძალა, რომელიც ყინულს დაძრავდა, პირველ ყოვლისა, ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში უნდა ვეძიოთ?** ამას უფრო იმიტომ ვამბობთ, რომ დიდი ხანია მოძმე რესპუბლიკებში ბევრგან თვით სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელ მუშაკთა ხელმძღვანელობით შეიქმნა მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტ-მასობრივი მუშაობის კომისიები. ამ კომისიებს უპირველეს საზრუნავად მიაჩნიათ ქალაქგარე დასვენების ზონებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების ქსელის გაფართოება. აქვე იმასაც დავძენთ, რომ მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა ფიზკულტურის მთავარი სპეციალისტის შტატიც შექმნეს.

ზემოთ ბუნებრივი პირობები ვახსენეთ. ასეთი პირობები ჩვენი რესპუბლიკის არც ერთ ქალაქს, მათს შემოგარენს არ აკლია. ავიღოთ თუნდაც ტბები და წყალსაცავები. აგერ, თბილისელები თბილისის ზღვას, კუს ტბას და ლისის ტბასაც ვერ ვიყენებთ ხეირიანად. ძალიანაც რომ მოინდომოთ, აქ ვერსად ნახავთ სასურველ [illegible]. იქნებ ამიტომაც აკლია მზრუნველი ხელი ამ ობიექტებს. კოლექტივებს აქ რომ თავიანთი კუთხე ჰქონდეთ მიჩენილი, სანახავადაც თვალგასახარი იქნებოდა ეს ადგილები. ანდა ჯანდარის ტბა ავიღოთ. რუსთავისა და გარდაბნის მშრომელებისთვის უკეთეს დასასვენებელ ადგილს ვერ ინატრებს კაცი, მაგრამ იქაც განუკითხაობა და გულგრილობა გაბატონებულა. ახლახან წითელი წყაროს რაიონში სოფელ ჯაფარიძის ტბაზეც შევიარეთ. იგი თბილისის ზღვას დიდად არ ჩამოუვარდება. სანაპიროც ჩინებული აქვს. აქ ერთი და ორი კი არა, რამდენსაც კაცი მოისურვებს, იმდენი სპორტული მოედანი შეიძლება გაკეთდეს — გაცილებით ეკონომიურად და იოლადაც. ნაოსნობისთვისაც შესანიშნავი პირობებია, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ არ არიან ჯანმრთელობის ამ ბუნებრივი საბადოს დამფასებლები.

იგივე ითქმის ბაზალეთის ტბაზე, პალიასტომზე, სიონის, შაორის, საბერიოსა და ქუთაისის წყალსაცავებზე, შავი ზღვის სანაპიროზე. ერთადერთი ადგილი, სადაც მშრომელთა აქტიური გართობა-დასვენება თვით ქალაქის ხელმძღვანელთა ზრუნვა-ყურადღებითაა გარემოსილი, არის ნაჭარმაგევის ტბა, გორთან ახლოს. აქ ხშირად ისვენებენ ქალაქის მშრომელები, თუმცა დასვენებისა და ჯანმრთელობის ზონა, ისეთი, რომელიმე კოლექტივის ბიუჯეტზე რომ იყოს და მშრომელთა მომსახურებას ორგანიზებულ ჩარჩოში რომ მოაქცევდა, ერთიც არ არის. ის კი არა, „მშრომელთათვის დასვენების დღის ორგანიზაციის შტაბებსაც" იშვიათად თუ სადმე შეხვდებით. ამას მხოლოდ გორის კოლექტივების მისამართით არ ვამბობთ.

ჯანმრთელობის ბუნებრივ ობიექტზე სამწუხაროდ, ვერც მეთოდისტებსა და მორიგე ინსტრუქტორებს ნახავთ. საკითხავია, ფიზკულტურული კოლექტივების საზოგადოებრივი კადრების მორიგეობას მაინც რა აფერხებს. მათი ხელშეწყობით გამაჯანსაღებელი საქმიანობა ნამდვილ მუშაობას დაემსგავსებოდა, საინტერესო შეჯიბრებებიც მოეწყობოდა და ამით საბოლოო ჯამში ჯანმრთელობა დარჩებოდა მოგებული. არ არის ასეთი ყურადღება და, ყველა ისე ერთობა, ვისაც როგორ სურს. ზოგჯერ მხოლოდ სუფთა ჰაერზე პურ-მარილის გაშლაა დასვენების მთავარი „პროგრამა". ეს არ არის უსაფუძვლო პრეტენზიები. მით უმეტეს, ყველგან ამდენს ლაპარაკობენ ცურვის შესწავლის პრობლემებზე და მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების სიძნელეებზე. ამ საქმეში ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, ვფიქრობთ, უფრო აქტიურად უნდა ამოუდგეს მხარში რესპუბლიკის [illegible] საზოგადოება, რომელიც [illegible] შესატანი [illegible]

თლებს მოსახლეობისგან, სარგებლობა კი (მხედველობაში გვაქვს დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები), პირდაპირ უნდა ითქვას, ჯერჯერობით ნაკლები მოაქვს.

გამოუყენებელ რეზერვთა შორის შავი ზღვის სანაპირო შემთხვევით არ გვიხსენებია. აქ მოძმე რესპუბლიკების იმდენი დასვენების ზონა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკია თავმოყრილი, რომელიც გნებავს, აირჩიე მისაბაძად და სამაგალითოდ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სხვისთვის ყველაფერი ადვილია ხელმისაწვდომად, ჩვენთვის კი უსაშველოდ ძნელი. სინამდვილეში სასწაულს არავინ ახდენს, უბრალოდ, უფრო გონივრულად იყენებენ შესაძლებლობებს, ბოლომდე მიჰყვებიან ჩანაფიქრს. **ისმის კითხვა — საწარმოო თათბირებზე და სოლიდური კოლეგიების სხდომებზე რატომ არ უნდა მსჯელობდნენ „ჯანმრთელობის საამქროს" მუშაობაზე. რატომ არ უნდა ფიქრობდნენ იმაზე, რომ მშრომელებმა და მათი ოჯახის წევრებმა აქტიურად დაისვენონ? გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელებმა და მათმა ზემდგომმა ორგანოებმა ამ საქმისთვის ჯერჯერობით „ვერ მოიცალეს".**

ახლა, მოდით, ისიც ვნახოთ, არის თუ არა ამ მოთხოვნების რეალობად გადაქცევის ეკონომიური საფუძვლები. რა თქმა უნდა, არის. საამისო სახსრები აქვთ პროფკავშირის ადგილკომებს და თვით საწარმოს ადმინისტრაციას. სოციალური კულტურული ღონისძიებებისა და გამაჯანსაღებელი მუშაობის ასიგნობანი ყველგან საკმაოა და სოლიდური. მცირერიცხოვან კოლექტივებს კი სახსრების კოოპერირებითაც შეუძლიათ საზიარო ზონებისა და ბანაკების მოწყობა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ესტონეთში, მასობრივ-გამაჯანსაღებელი ფიზკულტურის, დასვენებისა და მშდ კომპლექსის რესპუბლიკური საბჭო შეიქმნა. ეს თანამედროვე მოთხოვნებით ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის პრაქტიკულად განხორციელებით ნაკარნახევი ნაბიჯი იყო. საბჭომ კოორდინაცია გაუწია ამ საქმეში პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივ მუშაობას. თავდაპირველად დაიწყეს გამოუყენებელი რეზერვების შესწავლით და ამოქმედებით. გაჩნდა ქალაქგარე დასვენების ზონები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები. ახლა ამ რესპუბლიკაში თითქმის საბოლოოდაა გადაჭრილი გამაჯანსაღებელი საქმიანობისა და მშდ კომპლექსზე მუშაობის პრობლემა. ხომ ფაქტია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრ კოლექტივს არ შეუქმნია კომპლექსის დასანერგად აუცილებელი პირობები. დასვენების ზონები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები მშდ კომპლექსზე გეგმაზომიერ მუშაობასაც შეუწყობდა ხელს ფიზკულტურის კოლექტივებს.

ეკონომისტები გულდასმით სწავლობენ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გავლენას საწარმოო მაჩვენებლებზე. **თბილისის საავიაციო ქარხნის მუშები და რუსთაველი მეტალურგები, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობენ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მინიმუმამდეა დაყვანილი უმიზეზოდ და ავადმყოფობის გამო გაცდენილი დღეების რიცხვი. საერთოდ, მათი შრომისნაყოფიერება 5-6 პროცენტით მეტია, ვიდრე არაფიზკულტურელებისა.**

ახლა ბევრი კოლექტივი სოციალური განვითარების გეგმაში დასვენებასა და ფიზკულტურულ მუშაობასაც ითვალისწინებს. საილუსტრაციოდ შუა ურალის სპილენძის გამომდნობი ქარხნის მაგალითს მოვიტანთ. ამ კოლექტივმა IX ხუთწლედში ფიზკულტურის და სპორტის მასობრიობით არა მხოლოდ შრომისნაყოფიერების ამაღლებას, არამედ მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობის მნიშვნელოვან ამაღლებასაც მიაღწია.

როგორც ხედავთ, ფიზკულტურის სოციალური არსი კოლექტივში აღმზრდელობით მუშაობაზეც ახდენს სასიკეთო ზეგავლენას. აქვე გვინდა გავიხსენოთ მ. კალინინის სიტყვები, რომელიც აღნიშნავდა, რომ „...ხალხში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარება ძალზე სასარგებლოა, რამდენადაც იგი დისციპლინიანს ხდის ადამიანებს, ამტკიცებს მათ ჯანმრთელობას, სტიმულს აძლევს ინიციატივასა და თვითმოქმედებას, აჩვევს შეთანხმებულ, კოორდინებულ მოქმედებას".

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ვერც კულტურისა და დასვენების პარკებს ვიყენებთ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაშლელად. ერთ დროს მოინდომეს პარკებში მოეწყოთ ცალკეული სპორტული საზოგადოებების „სპორტული დღეები", მაგრამ თაოსნობამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ამასთან დაკავშირებით გვინდა აზერბაიჯანის დედაქალაქის ზღვისპირა პარკის გამოყენების შესანიშნავი მაგალითი გავიხსენოთ. ბოლო ხანებში ამ ისედაც სახელგანთქმულმა ადგილმა ავტორიტეტი იმითაც განიმტკიცა, რომ „ქალაქის ჯანმრთელობის ზონის" ცენტრად გადაიქცა. აქ მშრომელთა მასობრივი გაჯანსაღების სამსახურშია ჩაყენებული ფიზკულტურისა და სპორტის ყველაზე ხელმისაწვდომი, ყველაზე ეფექტური საშუალებები.

„ამ ქვეყნად ბევრი რამ მინახავს. თითქმის ნახევარი საუკუნეა ჯანმრთელობის საქმეს ვემსახურები, მაგრამ არ შემხვედრია ასეთი საინტერესო დაწესებულება, რომლის მიზანი და ამოცანა — ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებაა" — ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში ბაქოელთა საოცრებით აღფრთოვანებულმა ერთ-ერთმა კანადელმა ექიმმა.

ახლახან დამთავრდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ამომრჩევლებმა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო შეხვედრებში მოსთხოვეს თავიანთ რჩეულთ ფიზკულტურისა და სპორტისადმი ყურადღების გაძლიერება. საზოგადოების ეს აქტიურობა „ურეცეპტო წამლის" — ფიზკულტურის გამაჯანსაღებელი ფუნქციის საყოველთაო აღიარებითაცაა გამოწვეული. ადგილობრივ საბჭოებს და მათ დეპუტატებს უდავოდ დიდი საზრუნავი აქვთ. ამ საზრუნავში შედის მშრომელთა ქალაქგარე დასვენების ზონებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების შექმნაში აქტიური მონაწილეობაც.

და ბოლოს, მკითხველს ვთხოვ კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, კერძოდ 41-ე მუხლს, რომელიც ჩვენი წერილის თავშია მოყვანილი.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის პროექტის ამ სტრიქონებში მკაფიოდაა ასახული მშრომელი ადამიანის ინტერესებისთვის, მისი კეთილდღეობისთვის ზრუნვა. გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელში ქალაქგარე დასვენების ზონები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკებიც იგულისხმება. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა მთელი გულისყურით მოვეკიდოთ ამ საკითხს. შევქმნათ ყოველგვარი პირობები, რომ მშრომელმა ადამიანმა შემოქმედებითად, სულიერი და ფიზიკური სრულყოფისთვის გამოიყენოს სამუშაოსგან თავისუფალი დრო.

თ. გაჩეჩილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი, საბჭოეთის გული მოსკოვი სამი წლის შემდეგ მთელი მსოფლიოს სპორტულ მექად, ოლიმპიურ თამაშობათა დედაქალაქად იქცევა



უნიკალური, საუცხოო რამ იქნება...

დიდი სპორტული კომპლექსების მშენებლობა, მონუმენტური პანოები თუ უბრალო სამკერდე ნიშნები — ყველაფერი მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნის გული ოლიმპიადის მოლოდინით სუნთქავს. მოსკოველთა უპირველესი საზრუნავი მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლო — ოლიმპიადაა. მასთან დაკავშირებული ყველა მშენებლობა დამკვრელურადაა გამოცხადებული.

ოლიმპიური მშენებლობის მასშტაბის გამოსახვისთვის გვინდა შევეხოთ მისი ერთ-ერთი ნაწილის, ნიჩბოსნობის არხის კომპლექსის სარეკონსტრუქციო-კეთილმოწყობით სამუშაოებს. იგი მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით, კრილატსკის რაიონში მდებარეობს. ასობით ჰექტარზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, უკვე გამოიკვეთა საინჟინრო გადაწყვეტით მსოფლიოში უნიკალური, გადახურული ველოტრეკის კონტურები. 1979 წელს წინაოლიმპიურ კვირეულს სწორედ ის უმასპინძლებს. ჩვენი ველოსიპედისტებიც აქ ჩაატარებენ თავიანთ „გენერალურ რეპეტიციას“ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადას. ამ დროისათვის აშენდება 13,5 კმ სიგრძის ველოტრასა და მშვილდოსნობის სტადიონი. ყველაზე დიდი ნაგებობა მაინც ოლიმპიური ნიჩბოსნობის არხია. ეს კომპლექსი მწყობრში ხუთიოდე წლის წინათ ჩადგა. მასში არხის გარდა შედის ტრიბუნები 3500 მაყურებლისთვის, ელინგები, გასახდელები და სხვა სათავსოები. საკმაოდ მცირე დროში კომპლექსმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია. ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის — შვეიცარიელი თომას კელერის აზრით ეს არხი მსგავს ნაგებობათა შორის სწორუპოვარია.

არხი, რომელიც წყალს მდინარე მოსკოვიდან იღებს, ქარისაგან მაქსიმალურად დაცულია. ელინგების მოსახერხებელი განლაგება და სტარტზე მისასვლელი დამხმარე არხი შეჯიბრების შეუფერხებელი ჩატარების საშუალებას იძლევა. არხმა თავისი მაღალი გამტარუნარიანობა მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებასა და ევროპის პირველობაზე დაადასტურა. ოლიმპიური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ეს აღიარებული ნაგებობაც კი გადაკეთდება.

არხის დირექტორი ივანე მელნიკოვი გვესაუბრა დაგეგმილი სიახლეების შესახებ:

— სპორტსმენების უკეთ მომსახურებისთვის არსებულ სათავსოებს დაემატება დიდი ელინგი ნავებისათვის. ელინგის მეორე სართულზე მოეწყობა 24-ოთახიანი გასახდელი, აიგება 7 ავტონომიური აუზი ნიჩბოსნობისათვის, ძალოსნობის დარბაზი, სპორტული დარბაზი, სადაც საჭიროების შემთხვევაში მოეწყობა სასწავლო თუ მხატვრული ფილმების ჩვენება, აღდგენითი ცენტრი 4 ფინური აბანო „საუნით“, 100-ადგილიანი დასასვენებელი ოთახი, 2 მეთოდკაბინეტი, ბიბლიოთეკა, სასადილო 70 კაცისთვის, ოთახები მწვრთნელებისა და მსაჯებისათვის, გაფართოვდება პრესცენტრი. არხის სანაპირო მხატვრული ფილებით მოიგება, ერთი სართული დაემატება ახლანდელ ადმინისტრაციულ შენობას და სხვ.

მშენებელ-დამპროექტებლებს არც მაყურებლები დაუტოვებიათ უყურადღებოდ. ცენტრალური ტრიბუნები რკინა-ბეტონის მონოლითური ხიდით დაუკავშირდება კუნძულს, სადაც აიგება ტრიბუნები 1200 მაყურებლისთვის და დამონტაჟდება უზარმაზარი (24 მ×10 მ) შუქტაბლო. ცენტრალურ ტრიბუნებთან მიჯრით მოეწყობა 12.000-ადგილიანი ლითონის კონსტრუქციის ასაწყობი დროებითი ტრიბუნა. მთელ ტერიტორიას დაამშვენებს ჰედური, მოზაიკური და ფერწერული პანოები.

დიახ, აქ ყველაფერი კეთდება, რათა სპორტსმენებს შესაფერისი პირობები შეექმნათ მაღალი შედეგების მოსაპოვებლად.

მ. ზაქარეიშვილი.

• • •

სურათებზე: ზევით — მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი ქვეყნის მთავარი სპორტული სარბიელია. აქ, 1980 წლის ოლიმპიური თამაშების დროს შეჯიბრებები სპორტის მრავალ სახეობაში ჩატარდება; ქვევით — ველოტრეკის საერთო ხედი.



ლაპარაკობენ აქტივის კრების მონაწილეები

•

ძალა ერთობაშია

რესპუბლიკის პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივის კრება ჩვენს ცხოვრებაში უდაოდ დიდი მოვლენაა, ესაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი დასტური მოსახლეობაში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომი ამაღლებისათვის, რამაც ადრე დაკარგული პოზიციების მთლიანად დაბრუნებას უნდა შეუწყოს ხელი.

მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ საწარმო-დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებსა და სპორტკლუბების გამგეობებს, რომლებიც დირექციების დახმარებით მუშაობენ.

იქ, სადაც დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ფიზკულტურულ კოლექტივებს ყოველდღიურ ზრუნვას არ აკლებენ, მის საქმიანობას ხშირად აკონტროლებენ, კოლექტივის ინტერესებისთვის მოედანზე ბრძოლის პირად მაგალითს იძლევიან, ფიზკულტურულ საქმიანობაში მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმეტესობაა ჩაბმული. ეს კი ზრდის შრომისნაყოფიერებას, სპორტულ მიღწევებს, კოლექტივიც უფრო მტკიცე და მეგობრული ხდება.

სწორედ ფიზკულტურასა და სპორტზე დირექციის შეუნელებელმა ზრუნვამ, მუშა-მოსამსახურეთა ერთსულოვნებამ განაპირობა ჩვენი სპორტული კლუბის თბილისის მოწინავე ორგანიზაციად გადაქცევა — მან „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაში, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა, გუნდური პირველობა მოიპოვა.

ჩვენი საწარმოს შრომით და სპორტულ მიღწევებზე კვეხნით არ ვლაპარაკობ. ასეთი ორგანიზაციები რესპუბლიკაში სხვებიც არის და ურიგო არ იქნებოდა, თუ დანარჩენი წარმოება-დაწესებულებების, მშენებლობების დირექციები მაგალითს მოწინავეებიდან იღებდნენ, მათი მუშაობის გამოცდილებას განაზოგადებდნენ და რესპუბლიკის მოწინავე ფიზკულტურის კოლექტივების, სპორტკლუბების რიცხვს ამრავლებდნენ. მშრომელთა შორის ფიზკულტურული საქმიანობის ამაღლებას პარტიის XXV ყრილობა, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტიც გვავალებს და, რაც უფრო ბევრი ძლიერი კოლექტივი გვეყოლება, რესპუბლიკის სპორტული მიღწევებიც მით უფრო მეტი იქნება.

უ. მოსაშვილი,

სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი.

წარმატებათა სათავე

რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტში მწვერვალების დაპყრობას ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტების როლის უგულებელყოფაც აფერხებს. მაგალითად, გულშემატკივრებს აღარც კი ახსოვთ უკანასკნელად როდის ჩატარდა საქალაქო სპარტაკიადა თბილისის რაიონების გუნდების მონაწილეობით.

წლიდან წლამდე რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების ღონისძიებების მიღმა დატოვებამ ამ კომიტეტების თავმჯდომარეები იქამდე მიიყვანა, რომ ბევრმა მათგანმა არ იცის მათ რაიონში რამდენი და რა სახეობის სპორტსმენია, არა აქვთ კავშირი და არ აინტერესებთ მათი ავ-კარგი.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს სათანადო კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ, რის გამოც მათი მუშაობა თვითდინებით მიდის. წლები ისე გავა, ერთ რესპუბლიკურ შეჯიბრებაშიც არ ცდიან ძალას.

აუცილებელია ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტების როლის ამაღლება, ეს პირველ რიგში ადგილობრივი პარტიული და კომკავშირის რაიკომების, საბჭოთა ორგანიზაციების ვალია. უქნარა თავმჯდომარეები, რომლებიც ხელფასს წლიდან წლამდე პენსიასავით იღებენ, საქმეს უნდა ჩამოვაშოროთ, მათ ადგილი უნდა დაუთმონ ინიციატივიან, შემოქმედებით მუშაკებს, რომლებიც რაიონში ფიზკულტურასა და სპორტში მდგომარეობის გამოსწორებისთვის თავს არ დაზოგავენ. ამასთან, მათი ინტერესებისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ, ყველა კომიტეტში ერთი ადამიანი მუშაობს, რომელიც განმკარგულებელიცაა და აღმსრულებელიც. ბევრს ტრანსპორტიც არ გააჩნია და შორეულ კოლექტივებს წლობით ვერ ნახულობს.

ა. ბაზაძე,

ზესტაფონის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ცუდი ტრადიცია უნდა დავგმოთ

როცა საქართველოში სპორტის ზოგიერთი სახეობის ჩამორჩენის მიზეზებზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მეტად მავნე პრაქტიკა. მან ჩვენში ფეხი ამ 15-20 წლის უკან მოიკიდა და თანდათან გაძლიერდა. ეს არის „სპორტსმენთა სესხების“ ცუდი ტრადიცია.

სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, უწყებები ერთნაირად არ ზრუნავდნენ სპორტის ყველა სახეობის დანერგვისა და განვითარებისთვის, ხოლო როცა წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შემოწმების ჯერი დადგებოდა, საკავშირო შეჯიბრებებში გუნდების გაყვანა იყო საჭირო, გუნდების შესავსებად აქეთ-იქით დარბოდნენ, სპორტსმენებს ოფიციალურად თუ არაოფიციალურად რესპუბლიკის სხვა საზოგადოებებიდან იბირებდნენ (ზოგჯერ დაშინებითაც) და „ნასესხები“ სპორტსმენებით საკავშირო სარბიელზე რაღაც წარმატებას თუ მიაღწევდნენ, თავს ვალმოხდილად თვლიდნენ.

წლიდან წლამდე ასეთი გზით ფონს გასვლა ძლიერ ამუხრუჭებდა რესპუბლიკაში სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარებას.

სამწუხაროდ, სპორტსმენთა „სესხების“ ერთგვარ ხელშეწყობას თვით რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მხრიდანაც ჰქონდა ადგილი. ამის შესახებ, რამდენიმე წლის წინ „ლელო“ საკმაოდ ვრცელი, კრიტიკული სტატიით გამოვიდა. ახლა ამგვარმა მოვლენებმა ერთგვარად იკლო, მაგრამ...

სანამ რესპუბლიკაში ბოლო არ მოეღება რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში ერთი საზოგადოების სპორტსმენის სხვა საზოგადოებებისა თუ უწყებების სახელით მონაწილეობას, საქართველოში სპორტი განვითარების ნორმალურ ნიადაგზე ვერ დადგება, ამ მავნე პრაქტიკას ბოლო სწორედ საქართველოს სპორტკომიტეტმა უნდა დაუდოს. მისი ვიზის გარეშე რესპუბლიკიდან საკავშირო ასპარეზობებში მონაწილეობისთვის არც ერთი გუნდი, არც ერთი სპორტსმენი არ უნდა გავიდეს. წარმოდგენილი განაცხადების შემოწმებისას კი გულდასმით უნდა გაისინჯოს მათში სხვა სპორტსაზოგადოებების სპორტსმენები ხომ არ არიან. დამნაშავენი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ, რათა სხვას არავის გაუჩნდეს ყალბისმქნელობის სურვილი.

თ. ძოწულაძე,

„ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.

ლაპარაკობენ აქტივის კრების მონაწილენი

•

გულთან უფრო ახლოს

[illegible]

ზ. ლეჟავა,
საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის მეორე მდივანი.

სიტყვას საქმედ ვაქცევთ

[illegible]

ჯ. ბაგრატიონი,
ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ვისთვისაც ძვირფასია სპორტი

დღევანდელი დღე ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში განსაკუთრებულია. [illegible]

გუშინ, 1 ივლისს, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე

მთავარი სარბიელი

1 ივლისი. [illegible] ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი [illegible] „დინამოს" სტადიონის ერთი დღე!

დილის 8 საათი

[illegible]

9-00, აუზი

[illegible]

10-00. კალათბურთის დარბაზი

[illegible]

16-00. კრივის დარბაზი

[illegible]

17-00. ჭიდაობის დარბაზი

[illegible]

19-30.

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 1 ივლისი.

„დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 4:1 (2:1).

„დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, კოპაევი, გ. მაჩაიძე (ჩივაძე), მ. მაჩაიძე, ქიპიანი, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჩელებაძე).

„დნეპრი": შატრიანი, ხლიარი, ფუკოვი, დანილევსკი, შალნევი, ლისენკო, შნეიდერმანი (მოტუზი), სამოილენკო (იაკოვლევი), კუცევი, შელესტი, მაკლი.

მსაჯი ვ. ლუშინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 4:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს წვერაძემ (2), ხიზანიშვილმა და ძებისაშვილმა.

[illegible]

ა. ჭორაძე.

• • •

სურათზე: პირველი ბურთი დნეპროპეტროვსკელთა კარში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ტაიმებს შუა და მატჩის შემდეგ

[illegible]

ჩვენ და ჩემპიონატი
4

30 ივნისს და 1 ივლისს საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩების დღე იყო. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

ცსკა — „ჩერნომორეცი" 1:1.
„კრ. სოვეტოვი" — „კარპატი" 1:1.
„დინამო" მ. — „ზარია" 1:0.
„ნეფტჩი" — „დინამო" კ. 1:1.
„კაირატი" — „ლოკომოტივი" 0:0.
„არარატი" — „ტორპედო" 1:1.
„ზენიტი" — „შახტიორი" 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" თბ.	12	6	5	1	21—11	17
„დინამო" მ.	12	5	6	1	14—5	16
„ტორპედო"	12	5	6	1	14—8	16
„ლოკომოტივი"	12	5	6	1	12—7	16
„დინამო" კ.	11	4	7	0	17—5	15
„შახტიორი"	12	6	2	4	11—7	14
„არარატი"	12	4	5	3	11—9	13
„კაირატი"	12	3	7	2	11—12	13
„ნეფტჩი"	12	2	7	3	14—16	11
„ზენიტი"	12	1	8	3	7—10	10
„დნეპრი"	12	4	2	6	10—18	10
ცსკა	12	1	8	3	9—17	10
„ჩერნომორეცი"	11	3	3	5	13—17	9
„ზარია"	12	3	2	7	10—12	8
„კარპატი"	12	1	5	6	7—13	7
„კრ. სოვეტოვი"	12	0	5	7	8—20	5

სპორტული ცისკ

სარედაქციო ფოსტა

ყველაფერში სანიმუშო რომ იყოს

რამდენი მაყურებელი ესწრება მატჩს?

[illegible]

ე. მელიქა.

ურთასმენა არაა

[illegible]

ი. უიშიანი.

უნდა დავისვენოთ კიდეც

[illegible]

შ. არიშაძე,
ა. ძლიერი.

სანიმუშო რომ იყოს

[illegible]

ლ. სტურუა,
პენსიონერი.

უადგილო „ავიამოდელიზმი"

[illegible]

ა. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ!
■ სად ვიშოვოთ ჩოხები ქართული ჭიდაობისთვის?
■ ვამრავლოთ სპორტული დღესასწაულები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

სპორტის ეროვნულ სახეობებს — მასობრიობა!

Ამ ბოლო ხანებში სულ უფრო დიდ ყურადღებას იპყრობს სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინება-განვითარების საკითხი და ეს არც არის გასაკვირი. დღეს, როცა მთელს რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, როცა დიდი მნიშვნელობა ექცევა სპორტული ბაზების საკითხს, ბუნებრივია, თავისი სიტყვა ეროვნულმა სახეობებმაც უნდა თქვას. სად, თუ არა სოფლად უნდა ვიზრუნოთ სპორტში ახალგაზრდობის ჩაბმაზე. მასობრიობის გარეშე რაიმე დიდ წარმატებაზე ფიქრიც კი არ ღირს. სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებაც ხომ ამ მიზანს ემსახურება — ყველა რაიონში, მთაში თუ ბარში მტკიცედ მოიკიდოს ფეხი, მიიზიდოს სოფლის ახალგაზრდობის უმრავლესობა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინება-განვითარებას, თუ რა როლს თამაშობენ ისინი თანამედროვე სპორტსმენის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ გზის გაკვალვაში, ამის შესახებ გვესაუბრება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, III საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **ზაურ ჯინჭარაძე**.

— **სპორტული** შეჯიბრება, რა სახისაც უნდა იყოს იგი, ჯანმრთელობის, მხნეობის, ვაჟკაცობისა და მეგობრობის ჰიმნია. ეროვნული სახეობები განსაკუთრებით ფართო ასპარეზს შლის სპორტის მიმდევართა და მოყვარულთა წინაშე როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ საუნჯის დაკარგვა არამც და არამც არ გვეპატიება.

რაც შეეხება იმას, თუ რა როლს თამაშობენ სპორტის ეროვნული სახეობები ახალგაზრდა სპორტსმენის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ გზის გაკვალვაში, მოგახსენებთ: უზარმაზარს! ძნელია მოიძებნოს ქართველი ძიუდოისტი, სამბისტი თუ თავისუფალი სტილის მოჭიდავე, რომელსაც ამ სახეობათა ანბანი ქართული ჭიდაობიდან არ ჰქონდეს შესწავლილ-შესისხლხორცებული. ახლა ვნახოთ, რას გვაძლევს კიდევ ერთი ეროვნული სახეობა — ძალოსანთა კონკურსი. იგი ხომ პირდაპირ კავშირშია კლასიკურ სახეობასთან — ძალოსნობასთან. რამდენი მაგალითის მოტანა შეიძლება, როცა სიმძიმეების აწევაში დაოსტატებულ სპორტსმენს ძალოსნობაშიც დიდი წარმატებებისთვის მიუღწევია.

● **მაგრამ, მგონი აჯობებდა თუ ეროვნულ სახეობებზე, მათ ჭირსა თუ ლხინზე ცალ-ცალკე ვიტყოდით.**

— დავიწყოთ ცხენოსნობით. რესპუბლიკაში უაღრესად მწვავედ დგას ცხენების ნაკლებობის საკითხი. რა მიზეზით, ძნელი სათქმელია. ამჟამად მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაშია ამ მხრივ კარგად საქმე. აქვე უნდა ითქვას, რომ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ცხრა სარაიონთაშორისო საცხენოსნო კლუბიდან ხუთი აფხაზეთშია — გუდაუთაში, ოჩამჩირეში, სოხუმის რაიონში, გალსა და გულრიფშში, ხოლო დანარჩენი ოთხი — ზუგდიდში, ცხაკაიაში, სამტრედიასა და ჩოხატაურში. საერთოდ, ეროვნულ სახეობათა სპარტაკიადაში, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თაოსნობით ეწყობა, ყოველთვის მონაწილეობენ სიღნაღელი, ფოთელი, გურჯაანელი მხედრები. დიდი საყვედური უნდა გამოითქვას აჭარის ფიზკულტურული მოძრაობის მიმართ, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ცხენოსნობას. ამ მხრივ არც აღმოსავლეთის მეტ წილ რაიონებშია კარგად საქმე. მისასალმებელია, რომ ცხენოსნობის ზემოთჩამოთვლილ ცენტრებს სულ ახლახან მხარში ამოუდგა თელავი. აქაურმა მხედრებმა, ისევე როგორც ქუთაისელებმა და აბაშელებმა, საფუძვლიანად მოჰკიდეს ხელი ამ სახეობის აღორძინებას. ამასთან, აბაშელი, ქუთაისელი და გეგეჭკორელი სპორტსმენები უკანასკნელ სპარტაკიადაში საკუთარი ცხენებით გამოვიდნენ.

ერთი წლის წინათ, 1976 წლის 26 მაისს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივნისის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება საცხენოსნო სპორტის განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ჩვენივე კიდევ ერთი — 1976 წლის 27 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, მიმდინარე წლის 12-დან 21 მაისის ჩათვლით საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და თბილისის ცხენოსნობის სპორტულ ბაზებზე მოეწყო სასოფლო-სამეურნეო საცხენოსნო სპორტული კლუბების მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ათდღიანი სემინარი. სემინარის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საბჭოთა კავშირის ცხენოსნობის ფედერაციის რეკომენდაციით მოსკოვიდან მოწვეულ იქნენ მეცნიერმუშაკი იგორ რეიმტერი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გიორგი როგალევი.

ძალოსანთა კუნკურსი 23 რაიონის 147 ფიზკულტურულ კოლექტივშია დანერგილი, რომლებშიც 2140 სპორტსმენი მეცადინეობს, მათ შორის 72 მოსწავლეა. ეს ჯერ კიდევ ცოტაა. ამ ფიზკულტურელებიდან 15 სპორტის ოსტატია, 44 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 619 მეორე, მესამე და მოზარდთა თანრიგის სპორტსმენი. რაც შეეხება სპორტის ამ სახეობის „გეოგრაფიას", უნდა ვთქვა, რომ კარგად მუშაობენ ახალციხის, საჩხერის, ზუგდიდის, აფხაზეთის, აჭარის, მახარაძის სექციები. არავითარი მუშაობა არ ტარდება სამტრედიაში, ცხაკაიაში, გორში, კასპში, საგარეჯოში, გურჯაანში. ამ სახეობის მდიდარი ტრადიციები ჰქონდათ ხაშურელ, თელაველ, სიღნაღელ, გარდაბნელ, ბორჯომელ, წითელწყაროელ სპორტსმენებს, მაგრამ ამჟამად იქ შესუსტებულია მუშაობა, რაც მთლად მათი ბრალიც არ არის, ეტყობა, „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ მოადუნა ყურადღება, ალბათ ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ მათდამი.

ზემოთ ვთქვით, რომ სიმძიმეების აწევაში დაოსტატებული ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი წარმატებებს აღწევს-მეთქი. ამას ისიც მოწმობს, რომ სოხუმელმა სერგეი კონდახჩიანმა და საჩხერელმა ამირან ჭიტაძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს ჭაბუკთა შორის. წლეულს საბჭოთა კავშირის სოფლის სპორტსმენთა ჩემპიონები გახდნენ ბათუმელი ასლან ოსანაძე და საჩხერელი ელგუჯა დვალი, ხოლო ახალგაზრდებში ეს მაღალი ტიტული მოიპოვა ცხინვალელმა ბიჭიკო ჩიოტაშვილმა.

რაც შეეხება ქართულ ჭიდაობას, ვფიქრობ, იგი სხვა ეროვნულ სახეობებთან შედარებით პოპულარულია და მისი ავ-კარგიც ყველამ იცის. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრების ბირთვს კასპელი, ქარელელი, თელაველი, ქუთაისელი და დუშელი სპორტსმენები შეადგენენ. ამ ბოლო დროს ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეს სვანეთშიც, კერძოდ მესტიასა და ლენტეხშიც მოჰკიდეს ხელი. საერთოდ, სპორტის ეს სახეობა ძირითადად 32 რაიონშია დანერგილი.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ჭიდაობის ოსტატებსაც ბევრი გასაჭირი აქვთ. რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში ვერსად შეხვდებით ქართული ჭიდაობის ჩოხებს. საქართველოში სპორტული ნაწარმის ერთადერთი ფაბრიკაა და ის მაინც უნდა ზრუნავდეს საჭიდაო ჩოხების გამოშვებისთვის!

მშვილდოსნობის უმთავრესი კერებია აჭარა, აფხაზეთი, ლენინგორის რაიონი. ლენინგორში სპორტსმენებს 67 წლის ღვაწლმოსილი მწვრთნელი, „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ მღებროვი ავარჯიშებს. იგი თვითონაც ხშირად მონაწილეობს შეჯიბრებებში და ტოლს არ უდებს ახალგაზრდებს. კარგად, მონდომებით მუშაობს, აგრეთვე, თელავის რაიონის „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ გაგნიძე. მართალია, ამ რაიონში მშვილდოსნობა ჯერ კიდევ ვერ დგას სასურველ დონეზე, მაგრამ ისეთ პირობებში უხდება მუშაობა გაგნიძეს, რომ მისი მონდომება მართლაც დასაფასებელია. ეროვნულ სახეობათა რაიონულ სპარტაკიადაში წლეულს პირველად მიიღეს მონაწილეობა ქუთაისელმა და ლენტეხელმა მშვილდოსნებმა. დებიუტის მიუხედავად, ქუთაისელმა სპორტსმენებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და საპატიო IV ადგილი დაიკავეს. სპორტის ეს სახეობა დანერგილია, აგრეთვე, ჩხოროწყუში, ლაგოდეხში, დუშეთში, ორჯონიკიძეში, სამტრედიაში. შესანიშნავი ბაზა აქვთ ხელვაჩაურელ სპორტსმენებს. მარინე ჩხობაძე, ლიუდმილა ტოპორევა და რევაზ შარაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან. აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ხელვაჩაურელთა მწვრთნელი ამირან შოუა, რომელიც ძალასა და ენერგიას არ იშურებს თავის აღსაზრდელთა კიდევ უფრო დაოსტატებისთვის.

რა უშლით ხელს ჩვენს მშვილდოსნებს? საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება არც დაგვიჯეროს, უნდობლად შემოგვხედოს, მაგრამ ფაქტია — ჩვენს მშვილდოსნებს... არც მშვილდები აქვთ, არც ისრები. ზოგიერთი თვითნაკეთი ინვენტარით ვარჯიშობს და ასპარეზობს. რაღა თქმა უნდა, მწვავედ დგას ბაზების პრობლემაც.

და ბოლოს, დარჩა ლელობურთი, უძველესი ქართული მოძრავი თამაში, რომლის „დედაქალაქიც" ჩოხატაური გახლავთ. წლეულს ტარდება ეროვნულ სახეობათა რიგით მეექვსე სპარტაკიადა. წინა ხუთივე შეჯიბრებაში ჩოხატაურელებმა იმარჯვეს და, ალბათ, არც წლეულს დაარღვევენ ტრადიციას. წარმატებას უთუოდ ისიც განაპირობებს, რომ მთელს რესპუბლიკაში მხოლოდ ჩოხატაურელებსა ჰყავთ შტატიანი მწვრთნელი. სპორტის ეს სახეობა მეტნაკლებად კარგადაა განვითარებული, აგრეთვე, ზუგდიდში, მახარაძეში, სამტრედიაში, აჭარაში, აფხაზეთში, გეგეჭკორში, ჩხოროწყუში, გურჯაანში, წითელ წყაროში. თუ წინათ ლელობურთს „დასავლეთის სპორტს" ეძახდნენ, ახლა მან აღმოსავლეთის ბევრ რაიონშიც მოიპოვა პოპულარობა.

საერთოდ, იმ მიზნით, რომ ლელობურთი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს, ამ სახეობაში სპარტაკიადები ზონებად ტარდება. ალბათ, ამის შედეგიცაა, რომ შეჯიბრებაში წლეულს პირველად მიიღო მონაწილეობა ლენტეხის გუნდმა.

აქაც, როგორც თითქმის ყველა სახეობაში, ცუდადაა ინვენტარისა და ბაზების საქმე, არა გვაქვს თამაშის წესებიც.

● **რა პერსპექტივები აქვს ეროვნულ სახეობებს ჩვენში?**

— სპორტის ეროვნულ სახეობათა დონის ამაღლებისთვის საჭიროდ მიმაჩნია, დაიხვეწოს მსაჯობის წესები, ხშირად უნდა ტარდებოდეს მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარები. შეჯიბრებები ერთ ეტაპად კი არ უნდა ეწყობოდეს, როგორც ახლაა, არამედ მათ სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეთ. სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარში მეტი ადგილი უნდა ეთმობოდეს ეროვნულ სახეობებს. ამ საქმეს ყველა სპორტსაზოგადოებამ და უწყებამ უნდა მოჰკიდოს ხელი, მარტო „კოლმეურნე" ვერას გახდება.

საქართველოს პროფსაბჭოს 1976 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით მოწონებულ იქნა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თაოსნობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი წლის ოქტომბერი გამოცხადდეს სპორტის ეროვნული სახეობების თვედ. ჩატარდება მასობრივი შეჯიბრებები და სპორტული დღესასწაულები. ამასთან, საქართველოს პროფსაბჭომ გასული წლის 25 ივნისს მიიღო სპეციალური დადგენილება სასოფლო ფიზკულტურული ორგანიზაციების მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სოფლად საშეფო მუშაობის გაძლიერების შესახებ. ამის შემდეგ უკვე გასული წლის ბოლოს როგორც „კოლმეურნის", ისე „განთიადის", „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" ორგანიზაციები თავიანთი ბრიგადებით ეწვივნენ რესპუბლიკის მწყემსებს, მევენახეებს, მეციტრუსეებს და შაბათ-კვირას გამართეს სპორტული ზეიმები, საჩვენებელი გამოსვლები, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეროვნულ სახეობებში. ადგილობრივმა ახალგაზრდობამ, რომელთაც სათავეში კომკავშირელები ედგნენ, დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ ღონისძიებებისადმი. სპორტის დღესასწაულები ჩატარდა ელდარის, შირაქის, უდაბნოს მეცხვარეებთან, ასევე, ბევრი სხვა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელებთან.

ბევრ რაიონში სპორტის ეროვნულ სახეობებში შეჯიბრებები და საჩვენებელი გამოსვლები სოფლის მეურნეობის სამუშაოთა დაწყების წინ და მოსავლის აღებასთან დაკავშირებით იმართება, რაც ახალისებს მშრომელებს და ზრდის მათს შრომისნაყოფიერებას.

ერთი სიტყვით, ჩვენი მთავარი ამოცანაა ეროვნული სახეობების მასობრიობა და ახალი ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა, რომლებიც წარმატებით დაიცავენ რესპუბლიკისა თუ საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას.

საუბარი ჩაიწერა დ. ბელიძემ.



„განთიადის" სამი დროშა

ბაზების ქსელის გაფართოება, სექციებისა და ჯგუფების მუშაობის კონტროლი, მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის ამაღლება, რაც ხელს უწყობს შრომისნაყოფიერების ზრდას — ასეთია „განთიადის" ფიზკულტურულ ორგანიზაციათა ძირითადი ამოცანები. მისი მნიშვნელობა საზოგადოების ყველა რგოლში კარგად აქვთ შეგნებული. ამიტომაც წლიდან წლამდე იზრდება და თვალსაჩინო ხდება „განთიადში" გაერთიანებული წარმოება-დაწესებულებების, სამშენებლო ორგანიზაციების მშრომელთა წარმატებანი შრომაში, ფიზკულტურასა და სპორტში.

წარმოება-დაწესებულებებში და მშენებლობებზე შრომისნაყოფიერების ზრდამ, ფიზკულტურისა და სპორტის გამაჯანსაღებელი მუშაობის დონის ამაღლებამ თავის მხრივ, ხელი შეუწყო იმას, რომ „განთიადი" რესპუბლიკაში უძლიერეს სპორტულ ორგანიზაციად ქცეულიყო.

მეორე ათეული წელია, რაც ეს საზოგადოება საქართველოს პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა ფლაგმანი გახდა. მან რამდენიმე წლის წინ ყველა მაჩვენებლების ჯამში რესპუბლიკის მოწინავე ორგანიზაციის სახელი მოიპოვა და საქართველოს სპორტკომიტეტის გარდამავალი წითელი დროშაც დაიმსახურა.

„განთიადი" მშრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დასახულ პროგრამას მუდამ პირნათლად ასრულებს, მაგრამ შარშანდელი წარმატებები განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებითაა აღნიშნული. სკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისთვის ბრძოლაში განთიადელებმა კიდევ უფრო გაზარდეს სპორტული მიღწევები, შარშანდელი გეგმებით გათვალისწინებული ყველა ძირითადი მაჩვენებელი ვადამდე, 7 ნოემბრისთვის გადაჭარბებით გაანაღდეს: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა ხუთის მაგიერ შვიდმა კაცმა შეასრულა, სპორტის ოსტატისა — 62 ფიზკულტურელმა (გეგმით იყო 32), 707 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის მაგიერ მომზადდა 1091. ასეთივე წარმატებებია მიღწეული მასობრივი თანრიგის სპორტსმენების, მშდ კომპლექსის ნიშნოსნების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების აღზრდაში, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორთა მომზადებაში... განსაკუთრებით ამაღლდა საწარმოო ტანვარჯიშის, ტურიზმისა და სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების როლი. ამ სახეობებში ათიათასობით მშრომელი მეცადინეობს.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ 1976 წლის სოციალისტური შედეგების შეჯამებისას „განთიადის" საქართველოს ორგანიზაციას მეთხუთმეტედ მიეკუთვნა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ამ საზოგადოებამ საქართველოს პროფსაბჭოსა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშებიც დაიმსახურა.

ამ ჯილდოების საზეიმო გადაცემას მიეძღვნა „განთიადის" საქალაქო აქტივის კრება, რომელიც ახასწინად საზოგადოების ცენტოალურ საბჭოში გაიმართა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1974 წლის 3 ივნისის დადგენილებათა განხორციელებაზე, შარშანდელ შედეგებსა და მომავლის ამოცანებზე ილაპარაკა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ა. გიორგობიანმა.

სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკა „ამირახისა" და საავეჯო გაერთიანება „განთიადის" ფიზკულტურის ინსტრუქტორები ჯ. მორგოშია და ა. ტიმოფეევი, კომპლექსური სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ი. რუხაძე. განთიადელებმა აქტივზე აიღეს გაზრდილი ვალდებულებანი და შეკრებილთ პირობა მისცეს, რომ გეგმებს ოქტომბრის საიუბილეოდ შეასრულებენ.

ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს, რესპუბლიკის პროფკავშირთა საბჭოსა და საქართველოს სპორტკომიტეტის დავალებით საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ [illegible]ძემ „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. [illegible] ამ ორგანიზაციებს გარდამავალი წითელი დროშები (აგრეთვე, სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს სიგელი) გადასცა.

ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყველა კოლექტივმა, სპორტკლუბმა, სარაიონო, საქალაქო და საოლქო საბჭომ, მაგრამ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სპორტკლუბებმა „უშბამ" და „ფეიქარმა", თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებამ, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის საქალაქო, ზესტაფონის, ორჯონიკიძის რაიონულმა საბჭოებმა.

„განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ ჯილდოების პასუხად გაზრდილი ვალდებულებები აიღო, რომლის მიხედვით წლეულს გეგმის ზევით მოამზადებენ 3000 მშდ კომპლექსის ნიშნოსანსა და 1500 მასობრივი თანრიგების სპორტსმენს. კიდევ უფრო აამაღლებენ მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დონეს; ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელ გეგმას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის იუბილესთვის შეასრულებენ.

ველოსიპედი მრავალ ასპექტში

„იყიდეთ ველოსიპედი, არ ინანებთ".

მარკ ტვენი.

□

ველოსიპედის გამოგონებამ და შემდეგ მისმა ტექნიკურმა სრულყოფამ XIX საუკუნის შუა წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში „ველოსიპედის აურზაური" გამოიწვია. ამ მანქანით სეირნობა თავდაპირველად არისტოკრატიის, შემდეგ კი უბრალო ხალხის, უპირატესად ახალგაზრდობის საყვარელი გასართობი გახდა. თუმცა არც სოლიდური ქმრები და მანდილოსნები ამბობდნენ უარს ქალაქგარეთ ექსკურსიებზე ამ მოდური მანქანით, რომელსაც დასავლეთ ევროპაში თავისი პოპულარობის გამო „პატარა პრინცესა" უწოდეს.

გადაადგილების უჩვეულო საშუალებამ ხელი შეუწყო სპორტის ახალი სახეობის დანერგვას თავდაპირველად ინგლისსა და საფრანგეთში. უკვე 1890 წელს აშშ-ში შედგა მსოფლიოს ჩემპიონატი ველოსპორტში. ყოველ წელს ჩნდებოდა ველოშეჯიბრებების ახალი სახეობები, მათ შორის უწყვეტი ექვსდღიანი რბოლა ტრეკზე, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული გახდა აშშ-სა და კანადაში, შემდეგ კი ევროპასა და ავსტრალიაში. ველოსპორტი შეიტანეს პირველი ოლიმპიური თამაშების ცხრა სახეობათა შორის. აქედან მოყოლებული, იგი ოლიმპიადების მუდმივი ბინადარია.

მექანიზაციის ეპოქამ, ავტომობილისა და მოტოციკლის გამოჩენამ ველოსიპედის ბედზე იმოქმედა. მაგალითად, აშშ-სა და კანადაში წლების განმავლობაში არ ჩატარებულა შეჯიბრება, ამ ქვეყნების სპორტსმენებს 30 წლის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღიათ მსოფლიო ჩემპიონატებში. მერე ველოსპორტი ევროპაშიც დაქვეითდა.

მაგრამ ველოსიპედი მაინც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. საფრანგეთში, იტალიაში, დანიასა და შვეციაში, განსაკუთრებით ჰოლანდიაში გაჩნდა საავტომობილო ტრასების პარალელურად მიმავალი სპეციალური ბილიკები. ამ ქვეყანაში გზებზე ველოსიპედისტებისთვის 5 ათას კილომეტრზე მეტი „გამოყვეს". 4 ათასი კილომეტრი კი იზოლირებულ ველობილიკებს დაუთმეს. ჰოლანდიაში ჩამსვლელს ანცვიფრებს ველოსიპედისტთა სიმრავლე ქუჩებსა და ტრასებზე. ჰოლანდიაში ყოფნისას თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები სავარჯიშოდ ქ. ენსხედის კლუბის „ტვენტე-69" სტადიონს ეწვივნენ. სწორედ ამ დროს, 200-მდე ნორჩმა მძლეოსანმა დაამთავრა ვარჯიში. ყველანი ველოსიპედებზე შესხდნენ და სტადიონი დატოვეს...

ჰოლანდიაში სამედიცინო სტატისტიკის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე ცოტა ადამიანია გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებული. აი, რას ამბობს ველოსპორტის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ჯულიანო პაჩარელი (იტალია):

„ჩვენი სპორტი ხელმეორედ იბადება. ბევრ ქვეყანაში გამრავლდა სპეციალური ბილიკები, გამოყვეს ზონები, სადაც მხოლოდ ველოსიპედებით გავლაა დაშვებული. ადამიანს თანამედროვე ცხოვრების მძაფრ რიტმში ველოსიპედი ყველაზე უკეთ ეხმარება სიცოცხლის გახანგრძლივებაში, ის გულის მუშაობას ასტაბილურებს". ველოსიპედის გამო ატეხილმა აურზაურმა მეორეჯერ მოიცვა აშშ. ქვეყანაში უკვე 299 ათასი კმ სიგრძის ველოგზები აიგო. ეს ციფრი გაისად 400 ათასამდე უნდა გაიზარდოს.

როგორც ჯ. პაჩარელი ამბობს: „ველოსიპედისაკენ ამერიკელთა დღევანდელი სწრაფვა თავისებური, მაგრამ ძალიან ძლიერი რეაქციაა ცხოვრების უმოძრაობის, ავტომობილების რაოდენობის ზრდის წინააღმდეგ მიმართული. ამერიკელებმა გაიგეს, რომ ველოსიპედი ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცების უკეთესი საშუალებაა, ვიდრე, ვთქვათ სირბილი ან ცურვა. ამასთან ველოსიპედით მგზავრობით მიღწეული შთაბეჭდილება უფრო მრავალფეროვანია".

აი, რას ამბობს კალიფორნიის („ავტომობილების სამეფოს" ამჟამად „ველოსიპედების სამოთხის") შტატის სენატორი, დემოკრატი ალენ სკრენტონი: „ჩვენ ჩამოვრჩით ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანას, სადაც ველოსიპედი გამოიყენება როგორც ტრანსპორტი. ველოსიპედს დიდხანს ვუყურებდით, როგორც სათამაშოს. ამერიკელებს მანქანები მობეზრდათ, სერიოზულად აწუხებთ გამონაბოლქვის პრობლემა. ახლა ისინი, როგორც არასდროს, გრძნობენ ველოსიპედის უპირატესობას".

ალენ სკრენტონი თვითონ სიამოვნებით მგზავრობს ველოსიპედით. იგია „ბაისიკლ ტრანსპორტეიშინ აქტ"-ის კანონის პროექტის ავტორი. ამ კანონმა ველოსიპედს უნდა მიაკუთვნოს სათანადო ადგილი ქალაქის სატრანსპორტო მოძრაობაში.

ჯანმრთელობის ზონისთვის ბრძოლაში მსოფლიოს ბევრ დიდ ქალაქში მოეწყო დემონსტრაციები. რომში ველოსიპედისტებმა ავტომობილისტებს „წაართვეს" ცნობილი პარკის „ვილა ბორგეზეს" ნაწილი. ასე იყო პარიზში, სადაც ველოსიპედით გასეირნების მოყვარულებმა მიიღეს ბულონის პარკისა და იპოდრომ „ლონშანის" ხეივნებში სეირნობის უფლება. ნიუ-იორკის ველოსიპედისტებმა, რამდენიმე დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს. ერთი მათგანი შედგა ყველაზე ხმაურიან მე-5 ავენიუსთან „სენტრალ-პარკთან", მეორეს კი მეთაურობდა თვით ნიუ-იორკის მერი ჯონ ლინდსეი, რომელიც 400 ველოსიპედისტის კოლონას მიუძღვებოდა. ამერიკაში შექმნილია „ველოსიპედის მოყვარულთა და გარემოს დაცვის ასოციაცია". აღორძინდა არა მხოლოდ „ამერიკული ველოსიპედის მოყვარულთა ლიგა", რომელიც ჯერ კიდევ 1820 წელს დაარსდა, არამედ სხვა უფრო ძველი და ახალი ორგანიზაციებიც, რომლებიც ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ველოტურიზმს ხელმძღვანელობდნენ.

ველოსიპედით დიდად დაინტერესებულია ამერიკული მედიცინა. „პიტერ ბრიგჰემ ჰოსპიტალის" ექიმმა ჰარი ბასმა ბოსტონის ჟურნალ „მედიკალ უორლდ ნიუსში" გამოაქვეყნა ფილტვების ემფიზემით (რეგისტრირებულია 20 ათასი სასიკვდილო შემთხვევა 400 ათასი ავადმყოფიდან) დაავადებულ 40 კაცზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგები. მკურნალობაში ველოტრენაჟორის 12-კვირიანი გამოყენებით, შემდეგ კი ველოსიპედით სეირნობით ყველა ავადმყოფთან აღინიშნა გულის მოქმედების გაუმჯობესება, კუნთების ტონუსის ამაღლება. 18 თვის შემდეგ ყველა ავადმყოფი აქტიურ საქმიანობას შეუდგა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერს ექიმმა პოლ დადლი უაიტმა ველოსიპედით რეგულარულად სეირნობა ურჩია. ერთ-ერთი ამერიკული სამედიცინო ჟურნალი წერს: „საშუალო ამერიკელი, როგორც წესი, მწეველია, უკვე ეხეც ცუდია. მაგრამ საქმე უფრო რთულდება იმითაც, რომ იგი მუდმივ ნერვულ დაძაბულობაშია და ფიზიკურად ნაკლებად იტვირთება. ფიზიკური ვარჯიშის გარეშე გულის კუნთი ატროფირდება, გული არარეგულარულად იკუმშება, სისხლძარღვები ვიწროვდება და ორგანიზმი ვერ იღებს საკმარის ჟანგბადს".

ექიმები თვლიან, რომ სისხლის მიმოქცევის 30 პროცენტი დამოკიდებულია ფეხის კუნთებზე, ამიტომ ფეხების რეგულარული ვარჯიში სისხლის ჩაქცევის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. ველოსიპედი ერთდროულად ავითარებს ხელების, ფეხების, ზურგის, მუცლის, დიაფრაგმის კუნთებს. ცნობილი კარდიოლოგი პ. უაიტი ამბობს: „ფეხის კუნთები წარმოადგენენ საუკეთესო ტუმბოებს, რომლებიც გულის მუშაობას ეხმარებიან".

ჯერ კიდევ 60-ანი წლების დასაწყისში პატარა ქალაქებში დევისსა (კალიფორნიის შტატი) და ჰემპშტედში (ფლორიდის შტატი) მუნიციპალურ არჩევნებზე დაადგინეს, საავტომობილო მოძრაობა მინიმუმამდე დაიყვანონ. ახლა ამ „ველოსიპედის ქალაქებში" მოსახლეობის 40 პროცენტი სარგებლობს ველოსიპედით, როგორც ტრანსპორტის ერთადერთი სახეობით.

1971 წელს ორეგონის შტატში მიიღეს კანონი, რომლითაც ავტოსტრადის მშენებლები მოვალენი არიან, ღირებულების ერთი პროცენტი ველობილიკების მოწყობაზე დახარჯონ. მათ მაგალითს ბევრმა შტატმა მიჰბაძა. ფედერალურმა მთავრობებმა განიხილეს, აგრეთვე, საქალაქო მოძრაობაში ველოსიპედისტების უფლებების საკითხი. ქვეყანაში ველოტურისტებისათვის შექმნილია სპეციალური მარშრუტები, რომლებსაც ამერიკელმა მწერალმა ჯორჯ ფიხტერმა უწოდა „ამერიკის აღმოჩენა ველოსიპედზე".

იმასაც დავსძენთ, რომ 70-ან წლებში აშშ-ში ყველა ტიპისა და მარკის ველოსიპედებზე მკვეთრად იმატა მოთხოვნილებამ, რომლის დაკმაყოფილება ნაციონალურმა წარმოებამ ვერ შეძლო. აშშ-ში შემოიტანეს რამდენიმე მილიონი ველოსიპედი საფრანგეთიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, იაპონიიდან. მაღაზიაში დაიწყო ველოსიპედების შესაძენად რამდენიმე თვით ადრე ჩაწერა...

• • •

ჩვენს ქვეყანაში ბევრგან ველოსიპედი მეტად პოპულარულია, მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, კარპატისპირეთის უკრაინაში. ველოსიპედით სიამოვნებით სარგებლობენ შუა აზიის რესპუბლიკებშიც. მაგრამ არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენ დღეს გაძლიერებული ავტომობილიზაციის გზაზე ვდგევართ და ახლავე განვიცდით ამასთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემებს — ჰაერის მოწამვლას დიდ ქალაქებში, „საცობს" ქუჩებში და საჭესთან მსხდომთა დამატებით ნერვიულობას. ისინი თანდათან კარგავენ სურვილსა და უნარს ფეხით რამდენიმე ასეული მეტრი გაიარონ. ავტომობილიზაციის ერთ-ერთი მთავარი უბედურებაა ახალგაზრდობის „მიზიდვა". მაგრამ გავა 10-15 წელი და დღის წესრიგში დადგება საჭესთან „მიჯაჭვული" ადამიანების ჯანმრთელობის საკითხი.

ჩვენი აზრით, საჭიროა ახლავე ვიფიქროთ მოზარდი თაობის ჯანმრთელობაზე. ჩვენს რესპუბლიკას აქვს შესანიშნავი კლიმატური პირობები, რომლებიც წლის უმეტეს ნაწილში ველოსიპედით სარგებლობის საშუალებას იძლევიან. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო დიდი ხანია საბჭოთა კავშირის ველოსიპედისტთა ერთგვარ სასწავლო საწვრთნელი ბაზა გახდა. გაგრა და ბიჭვინთა, განთიადი და ლესელიძე, ახალი ათონი და სოხუმი მოკავშირე რესპუბლიკების, ბევრი ოლქისა და ქალაქის სპორტსმენთა საყვარელი ადგილია. საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტს გაზაფხულზე აქ ჩამოსვლის მსურველ ველოსიპედისტთა რიცხვის შეზღუდვაც უწევს. ესტონეთის ველოსიპედისტებმა უკვე „დაისაკუთრეს" ზუგდიდი. 5 წელია თბილისის ველოდრომზე ვარჯიშობენ და შეჯიბრებებს მართავენ ჩვენი და უცხოელი სპორტსმენები. მიუხედავად ყველაფრისა, ველოსპორტი საქართველოში ჯერ კიდევ ვერ გახდა მასობრივი. ჩვენთან ძალიან ცოტაა არა მარტო ველოსპორტით გატაცებული, არამედ უბრალოდ მოსეირნე ველოტურისტიც.

ჩვენ არ მივეკუთვნებით სკეპტიკოსებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოში არ შეიძლება იყვნენ ძლიერი ველოსიპედისტები. პირიქით, ბევრი დადებითი ფაქტორი გვიწყობს ხელს მოვამზადოთ სპორტსმენები არანაკლებ, ვიდრე, ვთქვათ, ომსკელები ამზადებენ. ომსკელი ველოსიპედისტები ყოველ გაზაფხულზე საქართველოში ვარჯიშობენ, მათ შორის ბევრი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია. მაგრამ ამჯერად ლაპარაკია არა იმდენად ველოსპორტსა და ჩემპიონებზე, რამდენადაც ველოსიპედზე, როგორც დასვენების, ტურიზმის საშუალებაზე.

ყველა ბავშვს უყვარს ველოსიპედი, მაგრამ ძალიან ცოტას გაჰყვება ეს სიყვარული. სკოლაში, მეურნეობაში, ქარხანასა თუ ფაბრიკაში არ არის სათანადო პირობები: ველოსიპედების სადგომები. ქალაქებში, კურორტებზე, სპორტულ ბაზებზე — ველოსიპედის გასაქირავებელი პუნქტები (რომლებიც არსებობდა ადრე). ასეთი გასაქირავებელი პუნქტები წარმატებით იმუშავებდნენ მშრომელთა დასვენების ადგილებში, პარკებში, ან, ვთქვათ, თბილისის ზღვაზე, რომლის გარშემოც წრიული ტრასაა (თუმცა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია). კეთილმოწყობილი ტრასები არა მხოლოდ ველოტურიზმისა და ველოსპორტის განვითარებას შეუწყობდა ხელს, არამედ უპასუხებდა სახალხო მეურნეობის ინტერესებსაც — თბილისის ზღვისირგვლივი ტრასა მნიშვნელოვან საავტომობილო არტერიას წარმოადგენს.

უმარტივესი 1-2 კმ სიგრძის წრიული ტრასის გაკეთება დიდად დაეხმარება ველოსიპედისტებს. დადგა დრო, ბავშვების, ახალგაზრდების, მშრომელთა ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ფართო პროპაგანდა გავუწიოთ ველოსიპედს, როგორც ტრანსპორტის, დასვენებისა და ტურიზმის საშუალებას. ზედმეტი არ იქნება იმის გახსენება, რომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ველოსიპედით სეირნობის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

მ. ბარამია,
ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კომისარი.

60 წელი

ფოტოქრონიკა

„გამარჯვება“

●

ა. გურასაშვილის (თბილისი) ფოტო.

ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

სიმბოლური ოლიმპიური მარში

სოფია. ვარნის ზ. სტოიანოვის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს თავიანთ ტურისტულ ლაშქრობებში, მოსკოვის ოლიმპიადის აღსანიშნავად, შეასრულონ სიმბოლური მარში. ისინი 2500 კილომეტრს (მანძილი ვარნიდან მოსკოვამდე) ოლიმპიადა-80-ისთვის გაივლიან.

მეტი მწვრთნელი იქნება

პრაღა. 1980 წლისთვის ჩეხოსლოვაკიაში 22 ათასი მწვრთნელი და ფიზკულტურის მასწავლებელი იქნება. სპეციალისტთა ასეთი რაოდენობა მთლიანად დააკმაყოფილებს ქვეყნის მასობრივი სპორტისა და ფიზკულტურის მოთხოვნილებებს. მწვრთნელთა ამ რაოდენობის საჭიროებას ადასტურებს გეგმა, რომლის შესაბამისად ჰოკეიში 24, სპორტულ ტანვარჯიშში 18, მაგიდის ჩოგბურთში 18 სპორტსმენზე თითო-თითო სპეციალისტი მოდის.

მამაცი სპორტსმენი ქალი

ვარშავა. პოლონელი სპორტსმენი კრისტინა ხოინოვსკა-ლისკევიჩი იწყებს ბოლო ეტაპის გაცურვას. იგი პირველი ქალია, რომელმაც მარტომ იმოგზაურა სამყაროს ირგვლივ იახტით. სიდნეიდან ბრისბენამდე გზის 600-მილიან მონაკვეთზე იგი ძლიერ ქარიშხალში მოჰყვა, მაგრამ კრისტინამ ამ გამოცდას ღირსეულად გაუძლო. ახლა მას მოუწევს კიდევ ერთი სერიოზული წინააღმდეგობის — მარჯნის დიდი ბარიერული რიფის გადალახვა, რომლის წინაშეც უკან იხევენ პოლონელი სპორტსმენის „მაზურეკზე“ უფრო სოლიდური ნავები.

ყაიმიც ყოფნის...

ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ი. ლევიტინა — ა. კუშნირის მეოთხედფინალურ მატჩში, რომელიც დორტმუნდში (გფრ) მიმდინარეობს, VI პარტია ყაიმით დასრულდა. შეხვედრის ანგარიშია 5:1 კუშნირის სასარგებლოდ. VII პარტია დღეს გათამაშდება. ნახევარფინალის საგზურის მოსაპოვებლად კუშნირს ყაიმიც ყოფნის.

ლიდერობს კოჩიევი

ლენინგრადში გრძელდება დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. 4 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას ო. რომანიშინმა (სსრ კავშირი) 1,5 ქულა მოაგროვა. მას დანებდა ს. მარიოტი (იტალია) და ყაიმზე შეუთანხმდა ზ. რიბლი (უნგრეთი). იტალიელმა დიდოსტატმა მეორე გადადებული პარტიაც წააგო ვ. სმისლოვთან (სსრ კავშირი).

ყაიმით დამთავრდა ა. კოჩიევ—ა. კარპოვის (ორივე — სსრ კავშირი) შეხვედრა. რამდენიმე პარტია კვლავ გადაიდო.

V ტურში კარპოვი მოულოდნელად დამარცხდა ა. ბელიავსკისთან შეხვედრაში. მსოფლიო ჩემპიონს უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ცაიტნოტში ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება.

პირველი მარცხი იწვნია ფ. გეორგიუმ (რუმინეთი) ი. ბალაშოვისგან (სსრ კავშირი). დაზავდნენ კოჩიევი — ი. რადულოვი (ბულგარეთი), ლ. ფოგტი (გდრ) — ბ. კუზმინი (სსრ კავშირი), მ. კნეჟევიჩი (იუგოსლავია) — ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) და მ. ტალი (სსრ კავშირი) — რომანიშინი.

გუშინ, VI ტურში ბელიავსკიმ სძლია რიბლის, სმეიკალმა — რადულოვს. ყაიმზე შეთანხმდნენ ფოგტი — კარპოვი, კოჩიევი — მარიოტი, მ. ტაიმანოვი — ტალი და გეორგიუ — ვ. სმისლოვი. სამი პარტია გადაიდო.

6 ტურის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს ა. კოჩიევი — 4 ქულა.

ბრძოლა გრძელდება

გუშინ ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტები შეუდგნენ ბრძოლას ნახევარფინალურ მატჩებში. ჟენევაში (შვეიცარია) თამაშობენ ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — ლ. პორტიში (უნგრეთი), ევიანში (საფრანგეთი) ლ. პოლუგაევსკი (სსრ კავშირი) — ვ. კორჩნოი.

თითოეულ მატჩში 16 პარტია უნდა გათამაშდეს. ფინალის საგზურის მოსაპოვებლად საკმარისია 8,5 ან 9 ქულის მოგროვება. ყაიმის (8:8) შემთხვევაში მეტოქენი განაგრძობენ ბრძოლას დამატებით მატჩებში (ორ-ორი პარტია), ვიდრე გამარჯვებული არ გამოვლინდება. კვირაში გათამაშდება სამი პარტია.

ამ მატჩებში გამარჯვებულნი წლის ბოლომდე შეხვდებიან ერთმანეთს ფინალურ ასპარეზობაში, სადაც მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის მეტოქე გამოვლინდება.

ჭადრაკი

ჩემპიონები გზას ულოცავენ

წლეულს რამდენიმე ათასმა ლენინგრადელმა ახალგაზრდამ დაამთავრა საშუალო სკოლა. ისინი ცხოვრების დიდ გზაზე გავიდნენ. სიმწიფის ატესტატთან ერთად ლენინგრადელმა ყმაწვილებმა და გოგონებმა სამახსოვროდ მიიღეს „ალისფერი იალქნები“ — ფერწერული ნახატის რეპროდუქცია ქსოვილზე, რომელსაც ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონების ნ. გაფრინდაშვილისა და ა. კარპოვის წარწერა აქვს წამძღვარებული.

ჩემპიონები ასე მიმართავენ სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს: „ყმაწვილებო, გისურვებთ თქვენი ცხოვრების დასაწყისში აირჩიოთ სწორი გზა, რომელიც მიგიყვანთ დასახულ მიზანთან, და მიჰყვეთ მას, ყველა სიძნელისა და უსიამოვნების ვაჟკაცური დაძლევით“.

„ალისფერი იალქნების“ რეპროდუქცია გამოსცა კომბინატმა „ხუდოჟნიკ რსფსრ“ 5 ათასი ტირაჟით.



ბლაგიძისა და აფხაზავას გამარჯვება

ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში კლასიკურ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირზე — „ავსტრიის დიდი პრიზი“ კარგად გამოვიდნენ საბჭოთა მოჭიდავეები. 5 წონითი კატეგორიიდან 4-ში გაიმარჯვეს საბჭოთა ათლეტებმა, მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ვახტანგ ბლაგიძე და თემურ აფხაზავა.

[illegible]

ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში კენიელმა ს. კიმომბვამ 10000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 27.30,47. ძველი მიღწევა, რომლის ავტორი იყო ინგლისელი დ. ბედფორდი, 0,33 წამით გაუმჯობესდა. ამ შეჯიბრებაში ე. ფავამ იტალიის რეკორდი დაამყარა — 27.42,65 (III ადგილი), ტ. კამატამ — იაპონიისა — 27.48,63 (V ადგილი), რ. გომესმა — მექსიკისა — 28.08,53 (VI ადგილი).

აღსანიშნავია, რომ ახალი მსოფლიო რეკორდსმენი სტაიერთა შორის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პატარა ტანისაა. მისი სიმაღლე 167 სანტიმეტრია, წონა 55 კგ.

საქართველოს ჩემპიონატი

II ჯგუფი

I ზონა

„განთიადი“ (კასპი) — „თრიალეთი“ (წალკა) 7:3, „მეშაქრე“ (აგარა) — „აბული“ (ახალქალაქი) 1:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „არაგვი“ (დუშეთი) 3:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 3:0, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „არაგვი“ (მცხეთა) 1:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 3:2, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „იბერია“ (ქარელი) 4:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „განახლება“ (ადიგენი) 1:1, „სამცხე“ (აწყური) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:1.

II ზონა

„შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „გიგანტი“ (ლაითური) 1:1, ხდკ (სამტრედია) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 1:1, „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) — „ტორპედო“ (გაგრა) 1:0, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „სულორი“ (ვანი) 1:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ოჯალეში“ (ბანძა) 3:2.

ფეხბურთი

I ლიგაში

30 ივნისს შედგა I ლიგის საკავშირო გათამაშების მატჩი მინსკის „დინამოსა“ და დონის როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა შორის.

მინსკელებს სრული უპირატესობა ეპყრათ და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 5:0.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

რეზბი. ლოკომოტივის სტადიონი. 3 ივლისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. „ელვა“ (თბილისი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი). დასაწყისი 17 ს.

ველოსპორტი

იუგოსლავიის მრავალდღიანი ველორბოლის მეხუთე ეტაპზე (136 კმ) იმარჯვა ტარტუელმა მასწავლებელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. პიკუუსმა — 3:19.43. ამ ეტაპზე მესამე იყო კურსკელი ვ. ჩაპლიგინი — 3:21.34. ხუთი ეტაპის ჯამში ლიდერობას ისევ კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი ინარჩუნებს — 11:59.49. გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა ველოსიპედისტები ლიდერობენ.

მძლეოსნობა

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა დ. ქუორმა (იამაიკა) 200 მეტრი 20,1 წამში გაირბინა. ქალთა შორის იმარჯვა ი. შევინსკამ (პოლონეთი) — 22,4. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში. მ. ნემეტმა, რომელმაც ამას წინათ ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის გუნდების მატჩში 90,10 მ. აჩვენა. ამჯერად შუბი 88,32 მეტრზე გადააგდო. წვიმის გამო სიმაღლეზე მხტომელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. მსოფლიო რეკორდსმენი დ. სტოუზი 214 სმ სიმაღლის გადალახვით გამარჯვებას დასჯერდა.

მაინცის (გფრ) სტადიონზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ამერიკელმა ჰ. მაკტირმა (10,1) 100 მეტრზე რბენაში 0,1 წამით ჩამოიტოვა მსოფლიო რეკორდსმენი თანამემამულე ს. უილიამსი და მონრეალის ოლიმპიადის უსწრაფესი ადამიანი ჰ. კროუფორდი (ტრინიდადი). 110 მეტრზე თარჯრბენი მოიგო ჩ. ფოსტერმა — 13,3, ტ. სლიუსარსკიმ (პოლონეთი) ჭოკით ხტომაში 550 სმ დაძლია. კ. რიმის (გფრ) ურო 75,90 მეტრზე დაეცა.

სოჭში დაიწყო ამერიკელ და საბჭოთა მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება. პირველი დღის შემდეგ. დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები — 102:97.

მანფრედ მაგნუსი (გდრ)

პროფესიული ჩვევა

ტრამვაის ვაგონი ხალხით ისე გაჭედილიყო, რომ კარგად მესმოდა მისი კედლების ჭრიალი. ჩემს წინ მდგომი მამაკაცის ხშირი შავი თმა პირდაპირ სახეში მცემდა. ფეხები უკვე კარგა ხანია ჰაერში მქონდა, თან შიშველი, რადგან ფეხსაცმლები ვაგონში შემოსვლისთანავე დავკარგე.

წინა ბაქნიდან ცივი ქარი უბერავდა. ვიღაცამ ხველა ატეხა, მერე დაიღრიალა:

— დახურეთ კარები, ვერ ხედავთ, გამჭოლი ქარია!

მისი სიტყვები მთელმა ვაგონმა აიტაცა. მგზავრები იმ კაცს მიაშტერდნენ, რომელიც კართან გაჩხირულიყო, ის კი ისე იყო შებოჭილი, დიდი სურვილის მიუხედავად, ოდნავადაც ვერ იძროდა. მას ჰქონდა ცისფერი, სანდომიანი თვალები, ეხურა ნაცრისფერი შლაპა. იდგა და მორცხვად, დამნაშავესავით იღიმებოდა.

— რა თავხედობაა, ახლავე კარი მიკეტეთ!

— ეტყობა გაყინული აქვს ტვინი!

ცისფერთვალება კვლავ თავაზიანად იღიმებოდა, მგზავრებს მოეჩვენათ, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— გადააგდეთ ვაგონიდან!

— შავ ჭირსაც წაუღია!

— მასეთ პირუტყვს სწორედ კისერი უნდა მოუგრიხოს კაცმა!

— ერთი თავში თხლიშეთ, ეგებ ტვინი აუმუშავდეს!

ლანძღვა-გინების ეს ნიაღვარი სრულებით არ აღწევდა ცისფერთვალებას გულამდე: იგი კვლავ მოთმინებით და გულღიად იღიმებოდა.

ჩემს გაჩერებასთან დიდი წვალებით გავძვერი გასასვლელისკენ. ნაცრისფერშლაპიანი წინ მომექცა.

— ბოდიში, — გამოველაპარაკე მას, — როგორ შეძელით მშვიდად აგეტანათ ასეთი უსაშველო ლანძღვა-გინება? ალბათ ნერვოპათოლოგი ბრძანდებით, არა? იქნებ საბინაო განყოფილებაში მუშაობთ?

მან უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არა, ფეხბურთის მსაჯი ვარ...

თარგმნა ბ. ბაქრაძემ.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი 8 გვერდიანია.

რედაქტორი ა. გასილაია.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის—„ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03499